# საქართველოს კანონი

## „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N44, 11.11.1997, გვ.32) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება:

1. კანონის მე-4 მუხლს  დაემატოს მე-5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
"5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია  საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს სახელით დებს უწყებათაშორისი ხასიათის საერთაშორისო ხელშეკრულებებს სასაზღვრო საკითხებთან დაკავშირებით."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *მიხეილ სააკაშვილი*